ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1243790

ნომერი: AR1214600

თარიღი : 24.04.2014

გაცემის თარიღი : 29.04.2014

გაცნობის თარიღი : 30.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , ნაკვეთი 15/018 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , მიმდებარედ , ნაკვეთი 15/019 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ვასაძე პ/ნ 01027052820
- ჭიჭინაძის ქ. კორპ.29დ, ბ-45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. იმისათვის, რომ საპროექტო შენობა–ნაგებობა განეკუთვნოს I კლასს, მისი განაშენიანების ფართობი სართულების იატაკის დონეზე ჯამში უნდა განისაზღვროს 60.0 კვ.მ.-მდე. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი ობიექტი სავარაუდოდ ორსართულიანი შენობაა, რაც თავისთავად ცდება I კლასის მახასიათებლებს. საპროექტო შენობა-ნაგებობა დაუქვემდებარეთ I კლასის მახასიათებლებს, მისი სართულიანობა განისაზღვროს ერთი სართულის სახით, აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოდგენილი იქნას საპროექტო ჭრილი და "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში აღინიშნოს ის გარემოება, რომ დამხმარე შენობა ერთსართულიანია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასევე უნდა დააკორექტიროთ ფოტომონტაჟი და დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის მთლიანი მოცულობის ამსახველი ფოტოვიზუალიზაცია.

2. საპროექტო შენობა უნდა წარმოადგენდეს არსებული შენობისაგან დამოუკიდებელ ნაგებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე დამხმარე სათავსო უნდა დააშოროთ არსებული ობიექტის კედლიდან მინიმუმ 0.2 მეტრით, ისე, რომ ამავდროულად დაცული იქნას სამეზობლო მიჯნის ზონა.

3. თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირებულია შეზღუდვა - "დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის ნებართვის გარეშე". მოიხსნას შეზღუდვა და განახლდეს ამონაწერი.

4. წარმოსადგენია თანამესაკუთრის, შ.პ.ს. "გორდი 2008"-ის დირექტორის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე I კლასის დამხმარე შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.